

სტუ-ს სტუდენტთა 86-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საგზაო სექცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 86-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის განრიგის შესაბამისად, საგზაო სექციაზე კონფერენცია ჩატარდა 2018 წლის 29 ივნისს. მომხსენებელთა გარდა, საგზაო სექციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ფაკულტეტათაშორისი საგზაო დეპარტამენტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. საგზაო სექციაზე მუშაობდა კონფერენციის კონკურსის შედეგების შემაჯამებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე - ნუგზარ რურუა - პროფესორი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - კონსტანტინე მჭედლიშვილი - პროფესორი;
კომისიის წევრები:

თენგიზ პაპუაშვილი - პროფესორი;

ხვიჩა ირემაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

გივი დათუკიშვილი - ასოცირებული პროფესორი;

კომისიის მდივანი - მანუჩარ შიშინაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

საგზაო სექციის მუშაობა გახსნა საგზაო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ნუგზარ რურუამ. კონფერენციის მუშაობის დაწყებამდე მან დიპლომებით დააჯილდოვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებული სტუდენტები ილია მიქავა და ლევან ჯანაშია.

სულ მოსმენილ იქნა 20 მოხსენება, მათგან 1 ბაკალავრიატის სწავლების სტუდენტის, 5 - მაგისტრანტის და 14 - დოქტორანტის. მონაწილეებმა მოხსენებები საპრეზენტაციო მასალების თანხლებით წარმოადგინეს, შემდეგ კი უპასუხეს კომისიის წევრების და დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს.

მომხსენებები ოთხი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა:

- ნაშრომის აქტუალურობა;

- ნაშრომში დასმული საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა და დასკვნების დასაბუთება;
- დისკუსია ჟიურის წევრებთან;
- მომხსენებლის გადმოცემის უნარი.

კომისიამ მონაწილეებს მოუსმინა და ერთმანეთის დამოუკიდებლად, სწავლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით გამოავლინა სტუდენტთა 86-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საგზაო სექციის გამარჯვებული სტუდენტები:

ბაკალავრიატი

I ადგილი	-	ჯაბა ჯინჭარაძე
II ადგილი	-	-----
III ადგილი	-	-----

მაგისტრატურა

I ადგილი	-	გიორგი ლეჟავა
II ადგილი	-	მორის მელია
III ადგილი	-	საბა წიქარიშვილი

დოქტორანტურა

I ადგილი	-	ილია მიქავა
II ადგილი	-	ირაკლი ფიფია
III ადგილი	-	ლევან ჯანაშია

ფაკულტეტათშორისი საგზაო დეპარტამენტი ულოცავს სტუდენტებს კონფერენციაში მონაწილეობას, გამარჯვებას და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებებს.

ფოტომასალა



